სანოტარო მოქმედების იდენტიფიკატორი ნომერი

39448537025621

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N210652815

რეგისტრაციის თარიღი

25.06.2021 წ

ნოტარიუსი: თამარ კობახიძე
მისამართი: ქ. თბილისი, მოსკოვის გამზირი №5, ბინა №40
ტელეფონი: 270-48-73

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge
ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საქართველო
ორიათას ოცდაერთი წლის ოცდახუთ ივნისს, მე თამარ კოაბხიძეს, საქართველოს ნოტარიუსს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: თბილისი, მოსკოვის გამზირი #5, ბ. 40 მომმართა ავთანდილ გაბედავამ, რომელმაც მოითხოვა მინდობილობის შედგენა და მისი სანოტარო წესით დამოწმება. მე შევამოწმე მიმნდობი პირის პიროვნება მის მიერ წარმოდგენილი საქართველოს მოქალაქის პასპორტით და დავრწმუნდი, რომ ნამდვილად ავთანდილ გაბედავამ (დაბ. 03.07.1980წ, მის: თბილისი თემქა X"ა" კვ. კორ. 41 ბ. 26, პ/ნ 01021005674, პ/ნ 10CC41300, გაც: 18.07.2012წ) მომმართა. მან განაცხადა, რომ არის შპს „სოლო"-ს (ს/კ 406277265) დირექტორი. უფლებამოსილება დგინდება ამონაწერით მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, განაცხადის რ/ნ B21050930. მე დავრწმუნდი მის ქმედუნარიანობაში. შემდეგ წავუკითხე და განვუმარტე მინდობილობაზე ხელის მოწერის სამართლებრივი შედეგები, მანაც წაიკითხა და განაცხადა, რომ მინდობილობის ტექსტი ზუსტად გამოხატავს მის ნებასა და სურვილს და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი შემდეგ მინდობილობას:

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

მე, ავთანდილ გაბედავამ (დაბ. 03.07.1980წ, მის: თბილისი თემქა X"ა" კვ. კორ. 41 ბ. 26, პ/ნ 01021005674, პ/ნ 10CC41300, გაც: 18.07.2012წ), როგორც შპს „სოლო"-ს (ს/კ 406277265) დირექტორმა, ამ მინდობილობით მამუკა კაპანაძეს (დაბ: 03.03.1986წ, პ/ნ 01029014924) მივანიჭე შემდეგი უფლებამოსილება:
მამუკა კაპანაძე უფლებამოსილია შპს „სოლო"-ს საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებასთან (მდებარე მისამართზე: ქალაქი თბილისი, სოფელი დიდი ლილო, ს/კ 81.08.17.818) დაკავშირებით სრულად იმოქმედოს არქიტექტურული პროექტის შესათანხმებლად, ახალი მშენებლობის ნებართვის მისაღებად, მიიღოს ნებართვები, მიღოს სპეც. ნებართვები, აზომოს, გამიჯნოს, გააერთიანოს, დააკორექტიროს, დააზუსტოს, მოახდინოს ცვლილების რეგისტრაცია მარეგისტრირებელ ორგანოში, მიიღოს ამონაწერები.
იყოს წარმომადგენელი საქართველოს იუსტიციის სახლში, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანეობში, მერიაში, გამგეობაში, საკრებულოში, მერიის მუნიციპალურ ინსპექციის სამსახურში, არქიტექტურის სამსახურში, ურბანული დაგეგმარების სამსახურში, ქონების მართვის სააგენტოში, ლეგალიზაციის კომისიაში, აღიარების კომისიაში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში, თბილისის საპატრულო პოლიციის მთავარ სამმართველოში, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, ადმინისტრაციულ ორგანოებთან და სხვა ორგანიზაცია-დაწესებულებებში.
წარადგინოს განცხადებები, მოაწეროს ხელი საჭირო დოკუმენტებს, განაცხადოს თანხმობები, მიიღოს გადაწყვეტილებები, მიიღოს სპეც. ნებართვები, აწარმოოს სამშენებლო და სარემონტო სამუშაოები, შეათანხმოს პროექტები, ატვირთოს ელექტრონულად დოკუმენტები, გამოითხოვოს და მიიღოს დოკუმენტები, განაშენიანების რეგულირების გეგმა, გადაავადოს ნებართვები, გადაიხადოს დადგენილი გადასახადები და შეასრულოს ნებისმიერი მოქმედება რაც საჭირო იქნება ზემოაღნიშნული დავალებების შესასრულებლად.
მინდობილობა გაცემულია ოთხი თვის ვადით და ძალაშია 2021 წლის ოცდახუთი ოქტომბრის ჩათვლით.
მინდობილობა გაცემულია სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად ქართულ ენაზე, რომელთაგანაც ერთი ინახება ნოტარიუსის სანოტარო ბიუროში, თან ერთვის ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან, ხოლო დანარჩენი გადაეცა მიმნდობ პირს.
გადახდილია სანოტარო მოქმედების შესრულებისათვის განკუთვნილი საზღაური, საქართველოს მთავრობის 2011წ. 29 დეკემბრის #507 დადგენილებით დამტკიცებული - „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობები, მათი გადახდევინების წესი და მომსახურების ვადები"-ს შესახებ 31-ე მუხლის შესაბამისად 10.00 (ათი) ლარი და 39 მუხლის შესაბამისად, სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური - 2.00 (ორი) ლარი.

ხელმოწერა _____

ნოტარიუსი: თამარ კობახიძე

